

# 1 ივნისი

რიგითი IX კვირა [1]

(19.V) წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლა, IVს, თ  
წმ. იუსტინე წამ.,+-165, (მ), წ

2021

ს ა მ შ ა ბ ა თ ი

ტობ 2,9-14; ფს 111; მარ 12,13-17

კახეთის ხიზაბაჯრის წმ. ნინოს კათოლიკური ეკლესიის დღეობა

*მიეცით კეისარს კეისრისა* მარ 12,17

ქრისტეიანს, რომელსაც გულით დაჰყავხარ, იესო, შეუძლია სიბრძნით იცხოვროს ამქვეყნად. შენ ხომ, შეგიძლია ყოველ გარემოებასა და პრობლემას მოჰფინო ნათელი და სიყვარული, ისევე როგორც მაშინ, როდესაც მიწაზე დადიოდი. იკმარებს მხოლოდ თავმდაბლად დაგიგდოთ ყური, როგორც ლოცვაში, ასევე სულიერი მამისათვის რჩევის კითხვისას.

# 2 ივნისი

რიგითი IX კვირა [I], მწ

(20.V) წმ. ღირსნი ზაბულონი და სოსანა, წმ. ნინოს  
მშობლები (IVს.);/ წმ. მარცელინე და პეტრე წამებ. +304

2021

ოთხშაბათი

ტობ 3,1-11.16-17; ფს 24; მარ 12,18-27

*მე ვარ ღმერთი აბრაამისა* მარ 12,26

იესო უმტკიცებს საღუკეველებს, რომ აღდგომის უარყოფით ისინი დიდ შეცდომაში ვარდებიან. იხსენებს სიტყვებს, მოსემ რომ მოისმინა მაყვლოვანიდან: „მე ვარ ღმერთი აბრაამისა...“ და დაურთავს: „მკვდრების ღმერთი როდია, არამედ ცოცხლებისა“.

იესო, მეც ვირჩევ, ვეკუთვნოდე მამას! შენი მიღებით, შენი სიტყვის შესრულების მცდელობით, იგი იქნება ჩემი ღმერთი, ჩემი სიცოცხლე.

# 3 ივნისი

უწმიდესი ხორცი და სისხლი უფლისა  
ჩვენისა იესო ქრისტესი, «ბ», დდ, [ს], თ  
ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს დამღევ კვირადღეს

2021

ხუთშაბათი

გამ 24,3-8; ფს 115; ებრ 9,11-15; მარ 14,12-16.22-26

აიღეთ, ეს ჩემი სხეულია მარ 14,22

ამაზე მეტი რისი მოცემა შეგეძლო, იესო?  
ყოველდღიურად წმიდა წირვაზე გვეძლევი ჩვენ,  
შენს ხორცსა და სისხლს გვიწვდი. და ჩვენც ყოველ  
წუთში ხელი მიგვიწვდება შენს გულზე, რათა  
მოვისვენოთ, გავძლეთ და ამოვხაპოთ სიცოცხლის  
წყალი ძმათათვის. კარგად ვუწყით, რად დაგიჯდა  
ეს ძღვენი: დღევანდელი დიდი დღესასწაული  
იქცეს სამადლობლად შენი სიყვარულისა და  
თავგანწირვისათვის!

# 4

# ივნისი

რიგითი IX კვირა [I], მწ

2021

პარასკევი

ტობ 11,5-17; ფს 145; მარ 12,35-37

როგორ ამბობენ მწიგნობარნი,  
რომ ქრისტე დავითის ძეა? მარ 12,35

დღეს სახარების მონაკვეთში ვისმენთ, იესო, როგორ განმარტავდი წმიდა წერილის ერთ რთულ მუხლს, ამასობაში კი დიდძალი ხალხი ხალისით გისმენდა.

მეც, როცა მეძლევა საშუალება ყური დავუგდო რომელიმე წმიდა მღვდელმსახურს, როცა საღმრთო წერილს ხსნის, გაოცებული ვრჩები. მადლობა, სულს წმიდაო, რომ იმყოფები დღეს ეკლესიაშიც ისევე, როგორც იყავი იესო ნაზარეტელში.

# 5 ივნისი

რიგითი IX კვირა [1]

წმ. ბონიფაციუსი, ეპ. და წამ., +754, (მ), წ

2021

შ ა ბ ა თ ი

ტობ 12,1.5-15.20; გალ: ტობ 13,2.7-8; მარ 12,38-44

ერიდეთ მწიგნობრებს მარ 12,38

ესენი ავტორიტეტები იყვნენ ხალხში, რჯულის პატივცემული მცოდნენი. თუმცა, იესოს დიდად არ ეხატებოდა ისინი გულზე... მათი ლოცვა იყო „სპექტაკლი“, ის ვერ ემთხვეოდა მამის გულს. მსურს ვილოცო, როგორც შენ ლოცულობდი, იესო, მუდამ მამისაკენ მიპყრობილო საყვარელო ძევ, მისი ნების ასრულება რომ გწადია. მოდი, სულო წმიდაო!

# 6

# ივნი სი

რიგითი X კვირადღე, «ბ», [III], მწ

(კალკულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს  
უწმიდესი ნორცისა და სისხლის დიდდღესასწაული)

## 2021

## კვირა

დაბ 3,9-15; ფს 129; 2 კორ 4,13-5,1; მარ 3,20-35

### როგორ შეუძლია საცანას საცანის გაძეგება? მარ 3,23

კაცობრიობის მთელი ისტორია არის ბნელი ძალების წინააღმდეგ მძიმე ბრძოლა. ეს ბრძოლა სამყაროს დასაბამიდან დაიწყო და ის, უფლის თანახმად, უკანასკნელ დღემდე გასტანს. ამ ბრძოლაში ჩაბმული ადამიანი განუწყვეტლივ უნდა იბრძოდეს, რათა სიკეთესთან კავშირი შეინახოს. მხოლოდ დიდი შრომით, ღმრთის მადლით, შეძლებს იგი თავის თავში ერთიანობის მოპოვებას. (GS 37ბ)

# 7 ივნისი

რიგითი X კვირა [II], მწ

2021

ორშაბათი

2კორ 1,1-7; ფს 33; მთ 5,1-12

ნეცარ არიან მოწყალენი, ვინა-  
იდან შეწყალებულ იქნებიან მთ 5,7

მადლობა, მამაო კეთილო, იმ ძმისათვის, ყოველდღე რომ აყენებ ჩემს გვერდით. როდესაც ვახერხებ მისთვის გულის გახსნას, მის ნუგეშს, მისი ტვირთის მღუმარედ ზიდვას, მეც ვგრძნობ, როგორ ვთავისუფლდები ჩემი სილატაკისაგან: შენ გახარებს ოდენ სიყვარული, მიახლოვდები და შევიგრძნობ სამოთხის სურნელს.

# 8 ივნისი

რიგითი X კვირა [II], მწ

2021 სამშაბათი

2კორ 1,18-22; ფს 118; მთ 5,13-16

თქვენა ხართ მარტილი მიწისა მთ 5,13

ვიცნობ ერთ ქალს, რომელმაც მიიღო იესოსთან ცოცხლად შეხვედრი მადლი. მისი ოჯახიდან, ნათესაობიდან თუ სამეზობლოდან არავის მიუღია მსგავის მადლი. მან მარტომ, თუმცა რწმენისმიერი ძმების საშუალებით, შეძლო მიეტანა მათ შორის იესოს სურნელი, სიყვარულის გემო: ყველანი ხარობენ მისით.



# 9 ივნისი

რიგითი X კვირა [II], მწ

(27.V) წმ. ღ. ბასილ ზაგრატი III-ის ძე, XIს; /წმ. ღ. მიქელ პარეხელი, VIII-IXსს/ წმ. ეფრემ დიაკ. და ეკ. მოძღ. +373

2021

ოთხშაბათი

2კორ 3,4-11; ფს 98; მთ 5,17-19

ასო კლავს, ხოლო სული  
აცოცხლებს 2კორ 3,6

წმიდა სული გვაძლევს მამასთან სიყვარულის ურთიერთობის ნიჭს იესოში. მამისაგან – სახელიც კი უკვე მეტყველებს ამაზე – ჩვენთან მოდის მხოლოდ სიყვარული; ყოველი მისი მითითება ჩვენდა სასიკეთოდაა. ამის გამოა, რომ ჩვენთვის კანონები, ყველაზე წმიდა კანონებიც კი, არაა კერპი, ვცდილობთ მუდამ, დავიცვათ გულები წმიდა სულში.

# 10 ივნისი

რიგითი X კვირა [11], მწ

2021 ხუთშაბათი

2კორ 3,15 - 4,13-6; ფს 84; მთ 5,20-26

როცა უფლის მიმართ  
მიიქცევიან, ჩამოეხსნებათ  
საბურველი 2კორ 3,16

ეს არის ის, რასაც წმიდა პავლე მთელი ძალით  
უცხადებს თავის ებრაელ ძმებს. მან ეს განიცადა:  
მხოლოდ მაშინ, როდესაც იესო შეუშვა ცხოვრებაში,  
წმიდა წერილი გახდა მისთვის ჭეშმარიტებისა და  
ცხოვრების წყარო. მეც მხოლოდ მაშინ, როცა იესოსთან  
ერთად ვცხოვრობ, როდესაც მისი სიტყვით ვცხოვრობ,  
შევიცნობ ჭეშმარიტებას, რომელიც მამის სიყვარულია!  
მხოლოდ იესოს, ჩვენს მხსნელს შეუძლია მოგვცეს  
სულიწმიდა, ჭეშმარიტი სიციცხლე.

# 11 ივნისი

იესოს ღმრთაებრივი გული, «ბ», დდ, [ს], თ

2021

პარასკევი

ოს 11,13-4.8-9; ფს: ეს 12,2-6; ეფ 3,8-12.14-19; იო 19,31-37

ხიზაბაერის (ასპინძა) კათოლიკური ეკლესიის დღეობა

იხილავენ მას,  
ვინც განგმირეს იო 19,37

ბავშვი, რომელმაც თავისი ახირებით მუშტები ჩასცხო დედას მკერდში, სხვა ვის მიმართავს, თუ არა მას, თავის სისუსტესა და დაუცველობაში? ასევე ჩვენც, იესო, რომელმაც ურჩობით გატკინეთ გული და ჩავცვივდით სილატაკეში, ვის მივმართოთ თუ არა შენ? მადლობა, იესო: შენა ხარ ის, ვისაც ვუყვარვართ!

# 12 ივნისი

2021

რიგითი X კვირა [II]  
ნეტ. ქალწ. მარიამის უმანკო გული (მ), თ  
წმ. გასპარე ბერტონი, სტიგმატელთა  
კონგრეგაციის დამაარსებელი, +1853, თ

შაბათი

ეს 61, 10-11; ფს: 1მეფ 2,14-8; ლკ 2, 41-51

თქვენი საუბარი იყოს:

„ჰო, ჰო“, „არა, არა“ მთ 5,37

იესო, შენ გსურს, რომ შენი მოწაფის საუბარი იყოს მართალი: იგი მუდამ შენი მზერის ქვეშაა. გსურს, რომ იყოს მარტივი: იგი ძეა, მამას და მის სახელს რომ ეთაყვანება. ის მის წინაშე დგას მცირე, კმაყოფილი იმით, რომ მისი სიყვარული უანგაროდ იცავს მას.

# 13

# ივნისი

რიგითი XI კვირალე, «ბ», [III], მწ

## 2021

## კვირა

ეზეკ 17,22-24; ფს 91; 2კორ 5,6-10; მარ 4,26-34

ღვთის სასუფეველი ჰგავს კაცს,  
მარცვლის მთესველს... მარ 4,26

„...სძინავს თუ ფხიზლობს, ღამით თუ დღისით, მარცვალი ღვივდება და იზრდება“. იესო, შენ მუდამ სასუფეველზე გველაპარაკები! კი მაგრამ, რა არის სასუფეველი? ვიცით, რომ შენა ხარ სასუფეველის მეფე, მაშასადამე, ღვთის სასუფეველი ვყოფილვართ ჩვენ, შენ რომ გისმენთ და მოგყვებით. მცირენი და ცოტანი, მაგრამ ჩვენს ირგვლივ მიმოფანტულია შენი სიყვარული. სასუფეველი იზრდება არა განსაკუთრებული და უცნაური ადამიანური ძალისხმევის გამო, არამედ წმიდა სულის ძლიერებით!

# 14 ივნისი

რიგითი XI კვირა [III], 8წ

2021 ორშაბათი

2კორ 6,1-10; ფს 97; მთ 5,38-42

მიეცი მთხოვნელს მთ 5,42

მამა, რომელიც ცხოვრობს იესოს მოწაფეებში, არ გვაძლევს იმის ნებას, რომ თვალი დავხუჭოთ, ხელი მოვუკუმოთ, გული მივუხუროთ მას, ვინც რამეს გვთხოვს. ის, რასაც მივცემთ, შესაძლოა არ იყოს, რასაც მოელიან ჩვენგან. წმიდა სული, რომელიც მოდის ჩვენთან ეკლესიის ლოცვისა და ცხოვრების წყალობით, ყოველთვის შეგვაძლებინებს მამაზეციერის სიყვარულის ნიშნის მიცემის საშუალებას.

# 15 ივნისი

რიგითი XI კვირა [III], მწ

2021 სამშაბათი

2კორ 8,1-9; ფს 145; მთ 5,43-48

გიყვარდეთ თვენი ძღვრები მთ 5,44

სინამდვილეში მტერიც არ ყოფილა იგი, ვინც ჩემს წინ იდგა იმ შეხვედრაზე: უბრალოდ ადამიანი იყო, რომლის ლაპარაკი და მოქმედება მაღიზიანებდა. მშვიდად გავუძელი ამ ჩემ შეზღუდულობას და ძმის დეფექტს და ყველაფერი იესოს მივანდე. და ვპოვე მშვიდობა: მომეჩვენა, რომ მისი დახმარებით, მისი დღევანდელი სიტყვა შევასრულე.

# 16 ივნისი

რიგითი XI კვირა [III], მწ

2021 ოთხშაბათი

2კორ 9,6-11; ფს 111; მთ 6,1-6.16-18

ყველამ გაიღოს  
გულის კარნახით 2კორ 9,7

ჩემი გული ძალზე მცირეა, იესო! თუმცა, შენ ძალგიდს აავსო ის შენი წმიდა სულით: მაშინ გამბედაობაც მეყოფა, ძალაც, თავმდაბლობაც და გულუხვობაც, ღიღებას ვუძღვნი ჩემს ზეციერ მამას!



# 17 ივნისი

რიგითი XI კვირა [III], მწ

2021 ხუთშაბათი

2კორ 11,1-11; ფს 110; მთ 6,7-15

## არ მიგვატოვო განსაცდელში მთ 6,13

ვიციტ, მამაო, რომ არ მიგვატოვებ. ამიტომაც ვბედავთ ამის თხოვნას. ზოგჯერ გულგატეხილობა შემოგვეპარება ხოლმე და ცუდს ვფიქრობთ შენზე.

მაგრამ შენ კვლავაც მამა ხარ, რომლისგანაც სიყვარულისა და სიკეთის მეტს არაფერს უნდა მოველოდეთ.

# 18 ივნისი

რიგითი XI კვირა [III], 8წ

2021 პატარასკევი

2კორ 11,18.21-30; ფს 33; მთ 6,19-23

დაიუნჯეთ ზეცაში მთ 6,20

მადლობა, იესო, რომ ზეცაში სახლი დაგვიმზადე. იქ, და არა ამქვეყნად, რომელსაც ადრე თუ გვიან მივატოვებთ, გვსურს შევინახოთ ჩვენი საუნჯე. ვიცით, რომ ზეცაში მხოლოდ იმ მარგალიტებისთვისაა ადგილი, რომელთაც სიყვარულის ელფერი დაჰკრავს: გულმოწყალება, კეთილმოსურნეობა, თავმდაბლობა... შეგვეწიე, სულო წმიდაო, უხვად დავიგროვოთ! დაე, ამისთვის ვშრომობდეთ ამქვეყნად.

# 19 ივნისი

რიგითი XI კვირა [III], მწ

წმ. რომუალდ, აბატი, +1027

2021

შაბათი

2კორ 12,1-10; ფს 33; მთ 6,24-34

ყოველ დღეს ეყოფა  
თავისი სადარდელი მთ 6,34

იესო კეთილი მამის მსგავსად ხელს ჩამჭიდებ  
და სიცოცხლეს მაძლევ: შენი სიყვარულის  
ნიშნები ფეხზე რომ მაძლებინებს, დავალება  
რომლითაც შემიძლია გემსახურო შენ და ძმებს,  
ინსტრუმენტები და ძალა მის შესასრულებლად.  
დღითი დღე... შენ მამა ხარ ჩემი და მე – შენი  
შვილი. მადლობა!

# 20 ივნისი

რიგითი XII კვირალე, «ბ», [IV], მწ

2021

კვირა

იოზ 38,1.8-11; ფს 106; 2კორ 5,14-17; მარ 4,35-41

დადუმდი, დადექ! მთ 4,39

იესო, შენი ხმა ამშვიდებს ზღვის ღრიალს, აჩუმებს ქარების რისხვას. შენი ხმა მშვიდობას ანიჭებს გულს და ისიც გიმზერს შენ: ხარობს ვარსკვლავებით, რომლებსაც ანთებ ღამით, ყვავილებით, მინდვრებზე და ბალებში რომ გაგიფურჩინავს, ჰაერით, შენი სიცოცხლე რომ მოაქვს. ამბობს გაკვირებული: უფალია შენი სახელი!

# 21 ივნისი

რიგითი XII კვირა [IV]

წმ. ალოიზი გონძაგა, ბერი, +1591, (მ), თ

2021

ორშაბათი

დაბ 12,1-9; ფს 32; მთ 7,1-5

იმ საბოძით, რითაც  
მიუბრძვით, მოგებრძვით მთ 7,2

იესო, შენ მე ფასდაუდებელი საჩუქარი გამიკეთე: ახალგაზრდობაშივე შემახვედრე შენი მოწაფენი. მშვიდი სახე ჰქონდათ, გულმოწყალე. მასწავლეს, არ ვყოფილიყავი მკაცრი, არ განმესაჯა. დამაგემოვნებინეს მამის გულმოწყალების სიხარული და შემაგულიანეს, ვყოფილიყავი მისი იარაღი. ახლა გევედრები: კვლავაც მიავლინე შენი მოწაფენი მთელ მსოფლიოში!

# 22 ივნისი

რიგითი XII კვირა [IV], 8წ

წმ. პავლინ ნოლადან, +431;

წმმ. იოანე ფიშერი, ეპ. და თომას მორი, წამ., +1535

2021

სამშაბათი

დაბ 13,2.5-18; ფს 14; მთ 7,6.12-14

შედიით ვიწრო კარით მთ 7,13

იესო, შენ იოლ ცხოვრებას როდი გვპირდები.  
ხშირად შენთან ერთობის საფასურად გასაჭირი და  
მსხვერპლის გაღებაც გვიწევს. შენ კი ყველაფრით  
გვეხმარები, რაც კი გვჭირდება: შენს ეკლესიაში  
გვიწვდი შენს პურს, სიტყვას, მოტევენას; გვანიჭებ  
მამებს, რომლებიც მიგვიძღვიან, გვზრდიან, შე-  
გვისწორებენ, ძმებს, რომლებიც შეგვეწევიან.  
მადლობა, იესო: შენ ერთადერთი არ გვატყუებ,  
რადგან გიყვარვართ ნადვილად!

# 23 ივნისი

რიგითი XII კვირა [IV], მწ

2021 ოთხშაბათი

დაბ 15,1-12.17-18; ფს 104; მთ 7,15-20

მათი ნაყოფით იცნობთ მათ მთ 7,20

რამდენი მოძღვარი, რამდენი შემოთავაზება ტრიალებს ჩვენს ირგვლივ! ყველანი გვპირდებიან კეთილდღეობას, მშვიდობას, განკურნებას. იესო, შენ გვანიჭებ ნამდვილი გარჩევის უნარს: იქ, სადაც მწიფდება სული წმიდის ნაყოფი – სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, მოთმინება, კეთილმოსურნეობა, სიკეთე, ერთგულება, თვინიერება, საკუთარი თავის მართვა – რაც იბადება შენთან ერთობიდან და შენი ჯვრიდან, მხოლოდ იქ შეგვიძლია ვპოვოთ საუკუნო სიცოცხლე, სავსე სიცოცხლე და ნამდვილი მშვიდობა.

# 24 ივნისი

წმ. იოანე ნათლისმცემლის შობა, დღ, [ს], თ

2021 ხუთშაბათი

ეს 49,1-6; ფს 138; საქ 13,22-26; ლკ 1,57-66.80

განადიდა უფალმა თავისი  
წყალობა მის მიმართ ლკ 1,58

ხანდაზმულ და უნაყოფო ელისაბედში ღვთის  
გულმოწყალებამ გაიმარჯვა: გახადა ის  
ყველაზე დიდი წინასწარმეტყველის დედად,  
წინასწარმეტყველისა, რომელმაც მიუთითა  
კრავი ღმრთისა. ჩვენშიც მამის გულმოწყალებამ  
არაერთხელ გაიმარჯვა: როცა შეურაცხყოფის  
მიტევება შეგვაძლებინა, როცა მოთმინება მოგვცა  
მსახურებაში, ხოლო გასაჭირში – წმიდა სიხარული.  
შენს წინამორბედთან ერთად, იესო, დღეს გაქვებთ  
და გმადლობთ!



# 25 ივნისი

რიგითი XII კვირა [IV], მწ

(12.VI) წმ. ღირსი ისიდორე სამთავნელი, მონაზონი,  
VI ს; წმ. იოანე-თორნიკე მთაწმიდელი, XI ს

2021

პარასკევი

დაბ 17,9-10.15-22; ფს 127; მთ 8,1-4

*იცოდე, არავის უთხრა!* მთ 8,4

იესომ ეს სიტყვები უთხრა განკურნებულ კეთროვანს. შესაძლოა იმის გამო, რომ შეეხო მას, იმის დაფარვა ხომ არ სურდა, რომ გაუწმიდურდა... იქნებ, იმიტომ, რომ – და ეს გვეჩვენება უფრო სავარაუდოდ მიზეზად – რომ თავიდან უნდოდა აეცილებინა ყოველგვარი მითქმა-მოთქმა, რეკლამა: ის, რასაც იესო გვიკეთებს, არის მუდამ და მხოლოდ, უანგარო სიყვარულისა და გულმოწყალების აქტი.

# 26 ივნისი

რიგითი XII კვირა [IV], მწ

2021

შაბათი

დაბ 18,1-15; გალ. ლკ 1,46-55; მთ 8,5-17

მრავალნი მოვლენ აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან მთ 8,11

აი, თურმე რა იზიდავს ღმერთს ადამიანში: ნდობა და არა მორჩილება. „ისრაელშიც კი ვერ ვნახე ასეთი რწმენა“ – განა ვინ დაიმსახურა რწმენის ასეთი შეფასება უფლისაგან, რა თქმა უნდა, მარიამს თუ არ ჩავთვლით? ფარისევლებს კი ეგონათ, რჯულის საქმეებით იყვნენ პირნათელნი ღმერთის წინაშე. სულს წმიდაო, შენ დაბადე ჩვენში თავმდაბლობა, რათა ღმერთმა თავისი ოცნება აისრულოს თითოეულ ჩვენგანში.

# 27 ივნისი

როგითი XIII კვირადღე, «ბ», [I], მწ

2021

კვირა

სიბრძ 1,13-15; 2,23-24; ფს 29; 2კორ 8,79:13-15; მარ 5,21-43

## ასულო, შენმა რწმენამ გიხნსა შენ მარ 5,34

ამ საბრალო ქალს, ხორციელად და სულიერად დატანჯულს, ექიმებში რომ უძებნია შველა და მხოლოდ უარეს დღეში ჩავარდნილიყო, შეეხო წმიდა სული. იგი ხედავს იესოს მის ნამდვილ შუქზე: ესაა მაცხოვარი.

მის მსგავსად მეც მოვდივარ, იესო: მთელი არსებით ვეზიარები შენს წმიდა ევქარისტიას, სახარების ამა თუ იმ გვერდს ჩავუკვირდები, ვიცხოვრებ შენი ახალი მცნებით. ვიგრძნობ, რომ შვილივით უნდათ და უყვართ ჩემი თავი: 'დახსნილი' ვიქნები უკვე ამქვეყნადვე!

# 28 ივნისი

რიგითი XIII კვირა [1]

წმ. ირენეოსი, ეპ. და წამ., +~202, (მ), წ

2021

ორშაბათი

დაბ 18,16-33; ფს 102; მთ 8,18-22

მოძღვარო, გამოგყვები  
სადაც კი წახვალ მთ 8,19

იესო, მეც მინდა გითხრა ეს სიტყვები! თუმცა  
მეშინია: ვიცი, რომ შენ მუდამ იმ მამის ნების  
აღსრულების გზას ადგახარ, ყველა რომ უყვარს...  
მე კი ასეთი თავგერდა ვარ! მაშ, ასე გეტყვი: „იესო,  
იმისათვის, რომ შევძლო ყველგან გამოგყვე, შემე-  
წიე. მხოლოდ შენ გესაგ“.

# 29 ივნისი

წმ. პეტრე და პავლე მოციქულნი დდ, [ს], წ

2021

სამშაბათი

საქ 12,1-11; ფს 33; 2ტიმ 4,6-8.17-18; მთ 16,13-19

თბილისის წმ. პეტრესა და პავლეს კათოლიკური ეკლესიის  
დღეობა. შესაწირავი პაპისათვის.

შენა ხარ ქრისტე,  
ძე ცოცხალი ღმრთისა მთ 16,16

იესო, შენ ჰკითხე შენებს: „ვინა ვარ თქვენთვის?“  
დღეს მწადია მეც გიპასუხო და, პეტრეს,  
მოციქულთა თავის დარად, ან პავლეს, წარმართთა  
მოციქულის კვალად, მინდა გიპასუხო არა მხოლოდ  
სიტყვებით. ჩემი ცხოვრებით, სული წმიდის  
წყალობით, მინდა გითხრა: იესო, შენ ჩემთვის  
ყველაფერი ხარ!

# 30 ივნისი

რიგითი XIII კვირა [I], მწ

2021

წმ. შალვა ახალციხელი, +1227;  
რომის ეკლესიის წმიდა პირველმოწამენი, +64  
ოთხშაბათი

დაბ 21,5.8-20; ფს 33; მთ 8,28-34

## ისაკით დაგეწყება შთამომავლობა დაბ 21,12

ამ სიტყვებით ამხნევეს უფალი თავის მეგობარ აბრაამს. იგი დაემწუხრებინა თავისი ცოლის, სარას სურვილს, ისმაელის, მონისაგან გაჩენილი შვილის თავიდან მოშორება რომ უნდოდა. სწორედ სარას გეგმის მიღებით, მის წინაშე თავის დამდაბლებით, აბრაამი ითანამშრომლებს თავად უფალთან, სიყვარულისა და დახსნის მისეული ჩანაფიქრის განხორციელებაში.